დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

პოლიტიკის დოკუმენტი

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ

დოკუმენტი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მარტი, 2020

სარჩევი

შესავალი ---------- 06

მეთოდოლოგია ---------- 09

ძირითადი მიგნებები ---------- 13

კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა ------ 17

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები ---------- 20

რეკომენდაციები ---------- 30

შესავალი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ (PrIME) ფარგლებში, რომელსაც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს. დოკუმენტის მიზანია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფარგლებში პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების შემუშავება.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ისევე, როგორც ოჯახური დანაშაული ან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ყველა საზოგადოების უნივერსალურ რეალობას წარმოადგენს და მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც, სპეციფიკური ხასიათისა და სოციალური საშიშროების გათვალისწინებით, დამანგრეველი შედეგები მოყვება არა მხოლოდ დაზარალებულისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. მსოფლიოში ქალთა დაახლოებით ერთი მესამედი (35%) ერთხელ მაინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი.[1] სტატისტიკას კიდევ უფრო საგანგაშოს ხდის ის ფაქტი, რომ ამ ფორმის ძალადობას ფარულობა ახასიათებს და დუმილის, სტიგმისა თუ სხვა ფაქტორის გამო, რიგ შემთხვევებში, არ მჟღავნდება. საქართველოშიც, 2018 – 2019 წლებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაული ოჯახში ძალადობა იყო.[2] მსხვერპლთა მნიშვნელოვან სეგმენტს კი (88%) სწორედ ქალები წარმოადგენენ.[3] სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მართალია, 2018 წლისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, თუმცა სამართალდამცველთა მხრიდან სიძულვილით მოტივირებულ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ დაწყებული დევნის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობა (სექსუალური უმცირესობები) მიუთითებს სამართალდამცველთა მხრიდან ძალადობის, არასათანადო რეაგირებისა და ჰომოფობიური მოპყრობის ფაქტებზე.[4]

აღნიშნულიდან გამომდინარე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა როგორც მთავრობის,[5] ისე საქართველოს პროკურატურის[6] ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ სახის დანაშაულების პრევენციის მიზნით ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების[7]

---

[1] World Health Organization, *factsheet*, violence against women, 29 November 2017.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგისტრირებული დანაშაულის *სტატისტიკა* (2019 წლის შემთხვევაში, მონაცემები დამუშავებულია ოქტომბრის მდგომარეობით).

[3] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტიანობის აუდიტის *ანგარიში* - ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, 8 თებერვალი 2019, გვ. 9.

[4] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური *ანგარიში*, 2017 – 2018წწ., გვ. 59 – 60.

[5] შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური *ვებგვერდი*.

[6] საქართველოს პროკურატურის ოფიციალური *ვებგვერდი*; ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების *სტრატეგიით* ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული.

[7] „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონის მიღება (2006), ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია (2012), ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრება (2014), გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნა (2017), შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები (2018), ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმის დანერგვა (2018), ოჯახურ დანაშაულზე მიმდინარე გამოძიების მონიტორინგის მიზნით შსს-ს ფარგლებში სპეციალური დეპარტამენტის შექმნა (2018).

მიუხედავად, არსებული სიტუაციის ანალიზი ისევე, როგორც საერთაშორისო[8] და ადგილობრივი[9] ორგანიზაციების შეფასებები ცხადყოფს, რომ პროკურატურისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ამ კატეგორიის დანაშაულებზე ეფექტიანი და სრულყოფილი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

პროკურორებისთვის სირთულეს წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულის შემთხვევებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება. ხშირ შემთხვევაში ისინი არ არიან საკმარისად ინფორმირებული გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირებასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტებისა და სპეციალური მიდგომების შესახებ,[10] რაც, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ხარვეზს, მეორე მხრივ კი, მსგავსი ტიპის დანაშაულების მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარისა და სასამართლოს რეაგირების, ასევე, არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი საჭიროა იმისთვის, რომ შესაბამისმა უწყებებმა უკეთ შეძლონ ამ მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმვა და წარმოება. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, ოჯახურ დანაშაულზე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების წარმოდგენას.

---

[8] ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის *ანგარიში* საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი 2016, გვ. 17; Un women Georgia official *website*, "Chief Prosecutor's Office of Georgia presents analysis of cases of violence against women and girls", 27 November 2018.

[9] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიმოხილვა: მიღწევები და არსებული გამოწვევები, *ანალიზი*, 2018, გვ. 6 – 9; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, მონიტორინგის *ანგარიში* #10, 2017; საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის *ანგარიში* N13, 2019.

[10] ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის *ანგარიში* საქართველოში ვიზიტის შესახებ, 9 ივნისი 2016, გვ. 17.

მეთოდოლოგია

პოლიტიკის დოკუმენტი ეყრდნობა სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგებს. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ ერთად სასამართლო მონიტორინგს ახორციელებდა IDFI-ის მიერ PrIME პროექტის ფარგლებში შერჩეული ორი რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაცია - “სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი” (CSI) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ასოციაცია „დეა“ (DEA) სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში.

მონიტორინგი განხორციელდა საქმეებზე, რომლებიც შეიცავდა სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნებს, კერძოდ, საქმეთა სპეციფიკის გათვალისწინებით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, ოჯახურ დანაშაულებზე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე თბილისის, ფოთის, ბათუმის საქალაქო სასამართლოებში, ხელვაჩაურის, ზუგდიდისა და სენაკის რაიონულ სასამართლოებსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მონიტორინგის პროცესში დამკვირვებლები იყენებდნენ მონიტორინგისთვის წინასწარ შემუშავებულ ორ კითხვარს. პირველ მათგანში, რომელიც მიზნად ისახავდა საქმის ზოგად შეფასებას, მოცემული იყო ზოგადი კითხვები პროცესთან მიმართებით. მეორე კითხვარი კი მოიცავდა სხდომის შესახებ დეტალურ კითხვებსა და სხდომის პროცესის მიმდინარეობის მოკლე აღწერას. კითხვარები შედგებოდა როგორც დახურული კითხვებისგან, რომლებზეც პასუხი შესაძლებელია იყოს „კი“ ან „არა“, ისე ღია ტიპის კითხვებისგან, რომლებზე პასუხის გაცემის შედეგად, დამკვირვებელს შესაძლებლობა ჰქონდა, ვრცლად აეხსნა საკუთარი დაკვირვებები.

კითხვარები იძლეოდა საშუალებას, პროკურორები შეფასებულიყვნენ პროფესიული მომზადებისა და კონკრეტული საქმის ირგვლივ არსებული გარემოებების ცოდნის თვალსაზრისით. მონიტორინგისას ყურადღება ასევე ექცეოდა მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობების შინაარსს, არგუმენტაციას, პროკურორთა ქცევას პროცესის მიმდინარეობისას ერთიან ჭრილში - მათ დამოკიდებულებას სასამართლო ხელისუფლებისადმი, ბრალდებულისადმი, დაზარალებულისადმი, საქმეში მოწმედ წარდგენილი პირისადმი და ა.შ. მონიტორინგის პერიოდში ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენდა სასამართლო სხდომების მონაწილე პირებთან უშუალო კომუნიკაცია.

მონიტორინგის პერიოდი მოიცავდა 2018 წლის ივლისიდან 2019 წლის ოქტომბრამდე პერიოდს. დამონიტორინგებული სხდომების რაოდენობა, სასამართლოებისა და სხდომათა ეტაპების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

№	სასამართლოს დასახელება	პირველი წარდგენა	წინასასამართლო სხდომა	საქმის არსებითი განხილვა	სულ
1	ზუგდიდის რაიონული სასამართლო	-	13	7	20
2	სენაკის რაიონული სასამართლო	-	1	2	3

3	ფოთის საქალაქო სასამართლო	-	8	2	10
4	ბათუმის საქალაქო სასამართლო	2	2	6	10
5	ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	3	1	1	5
6	თბილისის საქალაქო სასამართლო	-	-	44	44
სულ		5	25	62	92
7	თბილისის სააპელაციო სასამართლო	-	-	3	3
სულ		5	25	65	95

თბილისის საქალაქო სასამართლო - 44 სხდომა
(საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა)

თბილისის სააპელაციო სასამართლო - სამი სხდომა

ზუგდიდის რაიონულ სასამართლო - 20 სხდომა
(მათ შორის, წინასასამართიღო სხდომა - 13, საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა - შვიდი)

სენაკის რაიონულ სასამართლო - სამი სხდომა
(მათ შორის, წინასასამართიღო სხდომა - ეთი, საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა - ოხი)

ფოთის საქალაქო სასამართლო - 10 სხდომა
(მათ შორის, წინასასამართიღო სხდომა - ხვა, საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა - ოხი)

ბათუმის საქალაქო სასამართლო - 10 სხდომა
(მათ შორის, პიხვეღი წარდგენის სხდომა - ოხი, წინასასამართიღო სხდომა - ოხი, საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა - ექვსი)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო - ხუთი სხდომა
(მათ შორის, პიხვეღი წარდგენის სხდომა - სამი, წინასასამართიღო სხდომა - ეთი, საქმის ახსებითი განხიღვის სხდომა - ეთი)

მონიტორინგის განმავლობაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, ოჯახურ დანაშაულებზე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, საერთო ჯამში, 84 საქმეზე, განხორციელდა 95 სასამართლო სხდომის მონიტორინგი (მათ შორის, პირველი წარდგენის სხდომა - ხუთი, წინასასამართლო სხდომა - 25, საქმის არსებითი განხილვის სხდომა - 62, სააპელაციო სხდომა - სამი).

პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისთვის პროკურორებთან ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი. ფოკუს ჯგუფების მიზანს წარმოადგენდა ოჯახურ დანაშაულებთან, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა და სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო პროცესის დროს არსებული გამოწვევების გამოვლენა. შეხვედრების ფარგლებში პროკურორთა გამოკითხვა ხდებოდა ღია კითხვებისგან შემდგარი წინასწარ შემუშავებული გზამკვლევის საფუძველზე. თითოეულ ფოკუს ჯგუფს დაახლოებით ერთი საათი დაეთმო და საშუალოდ 15 პროკურორი ესწრებოდა.

ვინაიდან PrIME პროექტი ითვალისწინებს პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, სასამართლო პროცესების მონიტორინგისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა სწორედ პროკურორთა საქმიანობაზე.

ძირითადი მიგნებები

განხორციელებული მონიტორინგის მიხედვით, პროკურატურისთვის სირთულეს წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დადასტურება ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში და მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება.

სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ პროკურატურისთვის სირთულეს წარმოადგენს ასევე სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირება. აღნიშნული გამოწვეულია როგორც ამ მიმართულებით არასაკმარისი ცოდნით, ისე საკითხის მიმართ პროკურორთა სენსიტიურობის ნაკლებობით, რაც ხელს უშლის საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და ბრალდებულისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებას.

მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, ოჯახური დანაშაულების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლს არ აქვს სათანადო გამოყენება და ბრალდების მხარის მიერ ყურადღება არ მახვილდება დისკრიმინაციულ მოტივზე მიუხედავად იმისა, რომ საქმის გარემოებები ამის შესაძლებლობას იძლევა.

ოჯახური დანაშაულების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით სპეციალიზებულია არასაკმარისი რაოდენობის პროკურორი, რაც იწვევს სპეციალიზებულ პროკურორთა გადატვირთულობას. აღნიშნული გავლენას ახდენს ბრალდების მხარის მომზადების ხარისხზე და პროცესის გაჭიანურებას იწვევს, რაც, საბოლოოდ, მკაფიოდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროცესის მიმდინარეობაზე, ისე ზოგადად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხზე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით საქმეთა არც ისე მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე, სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა, შესაძლოა, საკმარისად იქნეს მიჩნეული. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლების დატვირთულობა არასათანადოდ ფასდება და სპეციალური კრიტერიუმები და პროცედურა არ არის შემუშავებული, პროკურორთა დატვირთულობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.

პროკურატურისთვის გამოწვევად რჩება ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში ბრალად წარდგენილი მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის სრულყოფილად დასაბუთება და მისი სიღრმისეული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტებით გამყარება.

პროკურატურის მხრიდან დასაბუთებულობის პრობლემა იკვეთება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების/ძალაში დატოვების მოთხოვნის დროსაც. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი საქმეების შემთხვევაში სასამართლოსთვის წარდგენილი შუამდგომლობები, ხშირ შემთხვევაში, შაბლონური და დაუსაბუთებელი იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პროკურორთა პასიურობა მოწმეთა დაკითხვის დროს და დაზარალებულთან ბრალდების მხარის კომუნიკაციის სისუსტე, რაც ნათლად ჩანდა სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას.

სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამონიტორინგებული

84 საქმიდან ბრალდებულს ქალი წარმოადგენდა ხუთ საქმეში, კაცი - 80 საქმეში. ამასთან, საქმეთა 17%-ში ფიგურირებდა არასრულწლოვანი, საიდანაც ცხრა შემთხვევაში დანაშაული ჩადენილი იყო არასრულწლოვნის თანდასწრებით, ხუთ შემთხვევაში კი - არასრულწლოვნის მიმართ.



დაზარალებულს ქალი წარმოადგენდა 64 შემთხვევაში, კაცი - რვა შემთხვევაში, 12 შემთხვევაში კი სხდომაზე დაკვირვების შედეგად ვერ მოხერხდა დაზარალებულის სქესის იდენტიფიცირება.



დაზარალებული ქალებიდან მსხვერპლს უმეტეს საქმეში წარმოადგენდა ბრალდებულის მეუღლე, პარტნიორი ან ყოფილი მეუღლე (51%), ბრალდებულის დედა (10%) ან რძალი (5%).[11]

[11] 64 საქმიდან დაზარალებულს 32 შემთხვევაში წარმოადგენდა ბრალდებულის მეუღლე, პარტნიორი ან ყოფილი მეუღლე; ექვს შემთხვევაში - ბრალდებულის დედა; სამ შემთხვევაში - რძალი; ორ შემთხვევაში - შვილი; ერთ შემთხვევაში - ბებია; ერთ შემთხვევაში - და; ერთ შემთხვევაში მეუღლე და რძალი; ორ შემთხვევაში - მეუღლე და შვილი; ორ შემთხვევაში - დედა და მამა; ერთ შემთხვევაში - მეუღლე და დედა; ერთ შემთხვევაში - მეუღლე და ბაბუა; ოთხ შემთხვევაში - სხვა; რვა შემთხვევაში კი პროცესზე დაკვირვების შედეგად ვერ მოხერხდა კავშირის იდენტიფიცირება.

დაზარალებულთა სტატისტიკა ბრალდებულთან კავშირის მიხედვით



კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, ოჯახურ დანაშაულს, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობას სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი აწესრიგებს: საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ",[12] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ",[13] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"[14] და სხვ. ამ კატეგორიის დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,[15] რომლითაც, 2012 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პასუხისმგებლობა განისაზღვრა ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობისთვის.

ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მიხედვით არის „ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი". ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სხვა მუხლებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი სახეზეა ოჯახური დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლზე მითითებით.

მას შემდეგ, რაც საქართველომ 2017 წელს მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია)[16] რატიფიცირება, სახელმწიფომ გაატარა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები ეროვნული კანონმდებლობის სტამბულის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით. შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა 151[1] მუხლი, რომელიც ადევნების დანაშაულს არეგულირებს. ადევნებას სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს როგორც პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალს, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერ სხვა განზრახ ქმედებას, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

2017 წლის ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ასევე 53[1] მუხლი, რომლითაც სასჯელის დამამძიმებელი გარემოებების განცალკევებით რეგულირება მოხდა. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენა ხდება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის

[12] საქართველოს *კანონი* „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", 25 მაისი 2006.

[13] საქართველოს *კანონი* „გენდერული თანასწორობის შესახებ", 26 მარტი 2010.

[14] საქართველოს *კანონი* „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", 2 მასი 2014.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის *კოდექსი,* 22 ივლისი 1999.

[16] Council of Europe *Convention* on preventing and combating violence against women and domestic violence, 12 April, 2011.

შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დანაშაულების ჩადენა, უმეტეს შემთხვევაში, ქალების წინააღმდეგ ხდება, რასაც ზემოთ განხილული სტატისტიკაც ადასტურებს.



მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო სხდომები, უმეტესწილად, პროკურორების მიერ მნიშვნელოვანი პროცედურული ხასიათის დარღვევების გარეშე მიმდინარეობს. ბრალდების მხარე ავლენს კანონმდებლობის ცოდნას. ცალკეულ შემთხვევებში, სამართალწარმოება ადეკვატურია და პროფესიონალურად მიმდინარეობს. ერთეულ შემთხვევაში, პროკურატურა სრულყოფილად ახდენს დამამძიმებელი გარემოებების გამოყენებით დანაშაულის კვალიფიკაციის დასაბუთებას. მონიტორინგის პერიოდში, ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ადევნების მუხლით მიმდინარეობდა, პროკურორმა სრულყოფილად დაასაბუთა 151[1] მუხლის შემადგენლობის არსებობა. ბრალდების მხარემ გამოყო სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც ცალსახად მიუთითებდა შიშის ნიადაგზე დაზარალებულის ცხოვრების წესის ცვლილებაზე.

იხილეთ მაგალითი:

პიხს ბიაღად ეღებოდა ყოფიღი მეუღღის მიმაით აღევნება. ბიაღღებუღი ნასამაითღევი იყო ყოფიღი მეუღღის ნათესავის განზიახ მკვეღეობისთვის. ციხიდან გათავისუფღების დღესვე იგი მივიდა დაზაიაღებუღის სახღთან, თუმცა ყოფიღ მეუღღეს ვეი შეხვდა, მის ოჯახის წევიებთან საუბისას კი განაცხადა, ითმ მას თავს აი დაანებებდა. ამის შემღეგ ბიაღღებუღი მუდმივად აკითხავდა დაზაიაღებუღს სახღთან.

პიოკუიოიმა სიუღყოფიღად დაასაბუთა ბიაღღება და ქმედების შემადგენღობის ობიექტუი ნიშნების აისებობა გაამყაია კონკიეტუღი ფაქტობიივი გაიემოებებით. ამდენადაც აღევნების ეით-ეით შემადგენეღ ნაწიღს წაიმოადგენს დაზაიაღებუღის ცხოვიების წესის შეცვლა, პიოკუიოიმა მიუთითა, ითმ ყოფიღი მეუღღის სისტემატუი თვაღთვაღის გამო, დაზაიაღებუღისა და მისი ახაღი მეუღღის ქოიწიღი გადაიდო. ამასთან, დაზაიაღებუღმა უაი თქვა მასთან საცხოვიებღად გადასვლაზე, ადგან თავის ოჯახში მეტი პიი ცხოვიობდა და თავს უფიო დაცუღად გიძნობდა. იგი ასევე სამუშაოდ სხვა ქაღაქში გადავიდა, ათა ბიაღღებუღისგან მოშოიებით ყოფიღიყო.

ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, პროკურორთა მიერ უფლებამოსილების განხორციელების თვალსაზრისით არსებობს ხარვეზები, რომლებიც უარყოფითად აისახება სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურის წინაშე არსებული რიგი გამოწვევები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ასეთებია:

- პროკურატურის მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დადასტურება ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში;
- პროკურატურის მხრიდან სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირება;
- პროკურატურის მხრიდან დისკრიმინაციულ მოტივზე არასათანადო ყურადღების გამახვილება იმ საქმეებში, რომლებშიც შესაძლოა იკვეთებოდეს

გენდერული დისკრიმინაციის ან სხვა სახის შეუწყნარებლობის მიმანიშნებელი გარემოებები;

- ოჯახური დანაშაულების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთულობა;
- პროკურატურის მხრიდან ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში ბრალად წარდგენილი მუხლის შემადგენლობის ობიექტური მხარის არასათანადოდ დასაბუთება;
- აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების/ძალაში დატოვების თაობაზე პროკურატურის მიერ შუამდგომლობის არასათანადოდ დასაბუთება სამივე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში;
- ბრალდების მხარის პასიურობა მოწმის დაკითხვის დროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ისევე როგორც ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში;
- დაზარალებულთან ბრალდების მხარის კომუნიკაციის სისუსტე ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში.

მიუხედავად ქალთა მიმართ ძალადობის ქალის დისკრიმინაციის ფორმად საერთაშორისოდ აღიარებისა,[17] დამონიტორინგებული საქმეებიდან, რომლებშიც დაზარალებულს ქალი წარმოადგენდა და ქმედების სუბიექტური მხარის უკეთ დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დისკრიმინაციის ნიშნის გამოკვეთა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაუსვა პროკურორმა ხაზი გენდერის საკითხს (3%) და იმსჯელა გენდერული დისკრიმინაციის მოტივის შესახებ. დანარჩენი საქმეების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არც ბრალდების მხარემ და არც სასამართლომ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევები სათანადოდ არ შეისწავლა შესაძლო გენდერული დისკრიმინაციის დადგენის მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მიხედვით, გენდერის მოტივით დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, თუმცა, პრაქტიკაში საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოებს უჭირთ ამ მოტივის გამოკვეთა. საქმეში დისკრიმინაციული ნიშნების აშკარად არსებობის შემთხვევაშიც კი, პროკურატურის მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო თუ არა ქალის გენდერულ როლზე არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებით.

[17] იქვე, მუხლი 3(ა); OPUZ v. TURKEY, European Court of Human Right (EctHR), application no. 33401/02, 9 June 2009, paras. 185 – 191, 200; MUDRIC v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, EctHR, application no. 74839/10, 16 July 2013, para. 63.

იხილეთ მაგალითები:

ეროვნულ-ეროვნულ საქმეში პირს ბრალად ედებოდა არასრულწლოვანი შვილის მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა, რისი საფუძველიც გახდა გოგონას მიერ შესრულებული საოჯახო საქმეებით მამის უკმაყოფილება. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ არ მომხდარა შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივზე მითითება და პირს ბრალად წაეყენა სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტი.

ეროვნულ-ეროვნულ საქმეში პირს ბრალად ედებოდა მეუღლის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. პროკურორის მტკიცებით, ბრალდებული ფიზიკური შეუსაცხყოფის გარდა, დაზარალებულს სისტემატურად უმეორებდა, რომ იყო მსუქანი, მახინჯი და ღანძღავდა ეროვნულობაზე მითითებით. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარის მიერ არც გენდერული და არც სხვა ნიშნით დისკრიმინაციაზე მითითება არ მომხდარა.

ეროვნულ-ეროვნულ საქმეში განიხილებოდა ბრალდებულის მიერ პარტნიორზე ფიზიკური ძალადობის შემთხვევა. კერძოდ, ბრალდებულმა მუცლის არეში ხელის დარტყმით დაზარალებულს მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. ბრალდებული მომხდარს აღიარებდა და მიუთითებდა, რომ ქმედება ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა. პროკურორს არც ამ შემთხვევაში განუხილავს ბრალდებულის მოტივი და არ უმსჯელია დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენის შესაძლებლობაზე.

შესაბამისად, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დადასტურება ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში პროკურატურისთვის სირთულეს წარმოადგენს და მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერულად მგრძნობიარე მართლ-მსაჯულების განხორციელება.

იგივე მდგომარეობაა სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებითაც. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ტრანსგენდერი ქალის წინააღმდეგ ძალადობას ეხებოდა, პროკურატურამ არათუ ექსპლიციტურად მიუთითა შეუწყნარებლობის საფუძველზე, არამედ საერთოდ არ მომხდარა დანაშაულის მოტივის გამოკვლევა მით უმეტეს, რომ დაზარალებული მარგინალიზებულ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. საბოლოოდ, ბრალდებულს ბრალი წაეყენა 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

იხილეთ მაგალითი:

პირს ბრალად ედებოდა ტრანსგენდერი ქალის წინააღმდეგ ფიზიკური შეუსაცხყოფა. ძალადობის მიზეზი გახდა სექსუალური უმცირესობებისადმი ბრალდებულის სიძულვილი და დაზარალებულის კაცისთვის არატრადიციულად შემოსვა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, მოხდა დამნაშავის იდენტიფიცირება და მტკიცებულებების შეგროვება, საქმე გაჭიანურდა და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა პირისთვის ბრალის წაყენება. თუმცა, ბრალდებულს ბრალი წაეყენა 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და პროკურატურის მხრიდან არ მომხდარა სიძულვილის მოტივზე მითითება, რაც საქმეში უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, აუცილებელია, გამოვყოთ 2018 წლის 30 სექტემბერს უფლებადამცველ ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე. აღნიშნულზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც თავიდანვე სადავო გახდა დანაშაულის შემსწრე პირებისთვის. ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, აშკარად გამოიკვეთა დანაშაულში ორივე ბრალდებულის თანამონაწილეობა. ამასთან, თვითმხილველები მიანიშნებდნენ სიძულვილის მოტივზე და აღნიშნავდნენ, რომ შელაპარაკება შეუწყნარებლობის ნიადაგზე დაიწყო. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულებისთვის ცნობილი იყო საფაროვის ებრაელობა, რაც დანაშაულის ჩადენისას მათ შეძახილებში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა თავდაპირველად არ აპელირებდა სიძულვილის მოტივზე და დანაშაული მხოლოდ 2019 წლის აპრილში (6 თვის შემდეგ) გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში - ჯგუფურად, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეუწყნარებლობის მოტივი გამორიცხა ორივე ბრალდებულთან მიმართებით და ისინი დამნაშავედ ცნო ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა.

აღნიშნული ადასტურებს, რომ პრობლემად რჩება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის გამოკვეთა. იმის გათვალისწინებით, რომ შეუწყნარებლობის მიმანიშნებელი გარემოებების არსებობისას პროკურატურა ყურადღებას არ ამახვილებს დისკრიმინაციულ მოტივზე, ბრალის წაყენებისას, ფაქტობრივად, არ ხდება მითითება დამამძიმებელ გარემოებებზე და, შესაბამისად, 53[1] მუხლს არასათანადო გამოყენება აქვს. ამასთან, ფოკუს ჯგუფის ფარგლებში პროკურორთა მიერ აღინიშნა, რომ 53[1] მუხლის გამოყენება საკუთარი ინიციატივით სასამართლოს მიერაც არ ხდება. უდავოა, რომ დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისთვის ხშირად მოტივის გამოკვეთა არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება, დანაშაულებზე არასათანადო რეაგირება კი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე ოჯახური დანაშაულების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით **სპეციალიზებულ პროკურორთა არასაკმარისი რაოდენობა, რაც იწვევს სპეციალიზებული პროკურორების გადატვირთულობას.** ერთი მხრივ, 2018 წელს ოჯახში ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულთა საქმეებზე გამომძიებელთა და პროკურორთა სპეციალიზაციის წესის განსაზღვრამ,[18] გარკვეულწილად, ხელი შეუწყო პროკურორთა საქმიანობის ხარისხის ამაღლებას. თუმცა, მეორე მხრივ, არ არსებობს პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის მექანიზმი, რაც უარყოფითად აისახება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეფექტიანობაზე. 2019 წლისთვის ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით გადამზადებულია 193 პროკურორი,[19] თუმცა, რეგიონებში სასამართლო სხდომათა მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქმეთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა არასაკმარისია. რიგ შემთხვევებში, პროკურორს უწევს არათუ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ერთდროულად განხილვა, არამედ ერთმანეთის მიყოლებით ჩანიშნულ სასამართლო პროცესებზე გამოსვლა, რაც იწვევს სასამართლო სხდომის ერთი, ორი და მეტი საათის დაგვიანებით გამართვას. მსგავსი მოცემულობა

[18] საქართველოს პროკურატურის ოფიციალური *ვებგვერდი*.

[19] საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

აისახება ბრალდების მხარის მომზადების ხარისხზე და პროცესის გაჭიანურებას იწვევს. აღნიშნული კი, საბოლოოდ, მკაფიოდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროცესის მიმდინარეობაზე, ისე ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის წარმოების ხარისხზე.

რაც შეეხება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით სპეციალიზებულ პროკურორებს, სასამართლო სხდომების მონიტორინგის პროცესში მათი დატვირთულობის კუთხით პრობლემა არ გამოკვეთილა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საქმეთა დიდი რაოდენობა არ არის სასამართლო წარმოებაში. 2019 წლისთვის გადამზადებულია 71 პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი,[20] რაც ამ კატეგორიის საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით, საკმარის ოდენობად შესაძლოა იქნეს მიჩნეული. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილად მონიტორინგისთვის პროკურატურაში არ არსებობს გამართული სისტემა, რის გამოც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთულობის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად **მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული პროკურორები მხოლოდ იმ კატეგორიის დანაშაულებზე მუშაობდნენ, რომელთა მიმართულებითაც არიან გადამზადებული, რაც, ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მიხედვითაც, კვლავ გამოწვევად რჩება.**

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში პროკურორების მიერ ასევე აღინიშნა, რომ ბრალდების მხარე ხშირად პრობლემას აწყდება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით არასათანადოდ მომზადებულ მოსამართლეებთან, რამდენადაც პროცესზე რჩებათ შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეებს საკითხი ძირეულად არ ესმით. ამის გათვალისწინებით, მოსამართლეთა მგრძნობელობის გაზრდის, გენდერულ თანასწორობაზე მათი ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციის საკითხებზე სრულყოფილი ცოდნის მიღების მიზნით მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს მოსამართლეთა მასშტაბური და მუდმივი გადამზადება. ამასთან, პროკურორები აღნიშნავენ, რომ ბრალდების მხარისთვის სირთულეს წარმოადგენს მოსამართლეების არაერთგვაროვანი მიდგომა და პირდაპირ მტკიცებულებებზე მათი ზედმეტად ორიენტირებულობა. ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ პრობლემურია დანაშაულის სისტემატურობის და ერთობლიობის გამიჯვნის საკითხი. ბრალდების მხარისთვის ხშირად გაურკვეველია მოსამართლეთა მიდგომა, თუ რა შემთხვევაში ხედავენ დანაშაულის განსხვავებულ ეპიზოდებს, რომლებიც დანაშაულთა ერთობლიობას ქმნის და რა შემთხვევაში - დანაშაულის სისტემატურობას.

ზემოაღნიშნულის გარდა, თვალსაჩინო გამოწვევას წარმოადგენს ბრალდების მხარის მიერ ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში **ბრალად წარდგენილი მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური მხარის სრულყოფილად დასაბუთება** და მისი სიღრმისეული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტებით გამყარება. დამონიტორინგებულ საქმეებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ პროკურორები ამ ნაწილს ზედაპირულად უდგებიან.

[20] პროკურატურიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე მოწოდებული პასუხი - წერილი №13/89744.

იხილეთ მაგალითები:

ეით-ეით საქმეში პიხს ბიაღი ედებოდა ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. ბიაღდებულს შეღაპარაკება მოუვიდა მამასთან, ია ქოსაც სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა, შემდეგ კი ჩაკეტა საპრიფსახეშოში და კარი სამშენებლო მასალებით ჩარაზა. ბიაღდების მხარის მიხედვით, დაზარალებულის ყვრიფილი მეზობლებმა გაიგეს და მათ გაათავისუფლეს. ბიაღდებულს ბიაღად წაეყენა სისხლის სამართლის კოდექსის 143 (1) – 11¹ და 15¹ – 11¹ მუხლები. მუქარასთან დაკავშირებით. პროკურატურამ, დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაზე მსჯელობისა და საფუძვლიანი შიშის არსებობის დასაბუთების გარეშე, მხოლოდ აღნიშნა, რომ ბიაღდებული დაზარალებულს მოკვლით დაემუქრა. ადგილი არ ჰქონია არგუმენტების ფაქტებით გამყარებას და ბიაღდების მხარემ მხოლოდ ბიაღად წარდგენილი მუხლი გააცნო სასამართლოსა და დაცვის მხარეს. ნიშანდობლივია, რომ არასაკმარისად დასაბუთებული ბიაღდების გამო, სასამართლომ აღნიშნული მუხლით ბიაღდებული დამნაშავედ არ ცნო და მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა ბიაღება.

ეით-ეით საქმეში პიხს ბიაღად ედებოდა მეუღლის მიმართ არასრულწლოვნის თანდასწრებით სისტემატური ძალადობა. ბოლო ინციდენტისას, ბიაღდებული ცივი იარაღით დაემუქრა საკუთარ შვილსა და მეუღლეს, რომ ოთივეს დახოცავდა. პროკურორს შესაძლებლობა ჰქონდა ემსჯელა, თუ რამდენად ხელსუფალი შეიძლება იყოს მუქარის შიში მაშინ, როდესაც სავარაუდო დამნაშავე ამას ცივი იარაღის გამოყენებით ახორციელებს, თუმცა, დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ამ ნიშანზე მსჯელობას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით რეგულირებულ დანაშაულთან მიმართებით, მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სახეზე უნდა იყოს მუქარა და მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დანაშაულის მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი გარემოებებით, უტყუარი მიზეზშედეგობრივი კავშირით ან/და დაზარალებულის მიმანიშნებელი ქცევით. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, ბრალდების მხარე, არცთუ იშვიათად, დასაბუთების გარეშე, მხოლოდ მუქარის თაობაზე ზედაპირული აღნიშვნით შემოიფარგლება.

პროკურატურის მხრიდან **დასაბუთებულობის პრობლემა იკვეთება აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის/ძალაში დატოვების დროსაც.** პროკურორთა შუამდგომლობები, ხშირ შემთხვევაში, შაბლონური და დაუსაბუთებელია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. პროკურორები ხშირად ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ითხოვენ პატიმრობის გამოყენებას და მიუთითებენ საფუძველს ფაქტობრივი გარემოებების გარეშე.

იხილეთ მაგალითი:

პირს ბიაღად ედებოდა ყოფიღი მეუღღის მიმართ ძაღადობა. ირსებითი განხიღვის სხდომაზე, ჩომეღზეც ასევე განიხიღებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვღის საკითხი, პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შენარჩუნების საფუძვღად ორი გარემოება დაასახეღა - მოწმეებზე ზეგავღენის მოხდენისა და დანაშაუღის განმეორების ჩრსკი. თუმცა, ბიაღდების მხარეს არ წარუდგენია ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შესაბამისი არგუმენტები და პატიმრობის ძაღაში დატოვების მიზნით დასახეღებუღი საფუძვღებიდან ვერცერთის დასაბუთება შეძღო.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შუამდგომღობის დაუსაბუთებღობა გამოწვეუღი არ ყოფიღა საფუძვღის არარსებობით. სასამართღო პროცესის მიმდინარეობისას ბიაღდებუღი აგრესიუღ დამოკიდებუღებას ამჟღავნებდა დაზარაღებუღის მიმართ, რაზეც ბიაღდების მხარეს ყურადღება არ გაუმახვიღებია. თუმცა, სასამართღომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის ძაღაში დატოვების საფუძვღად სწორედ დაზარაღებუღის დაკითხვის დროს ბიაღდებუღის მიერ გამოჩენიღი აგრესია დაასახეღა და აღნიშნა, რომ არსებობდა დანაშაუღის განმეორების საფრთხე.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის დამონიტორინგებულ შემთხვევებში პროკურორი შემოიფარგლებოდა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებით და არ ხდებოდა მეზობლების გამოკითხვა, რომლებსაც, შესაძლოა, ძალადობის შემთხვევების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდათ და, შესაბამისად, მათ ჩვენებას შესაძლოა, ძალადობის სისტემატიური ხასიათი გამოეკვეთა. აღნიშნული კი, ბუნებრივია, დანაშაულის განმეორების რეალურ საფრთხეზე მითითებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის საფუძვლიანი დასაბუთებისთვის არის მნიშვნელოვანი. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის/ძალაში დატოვების დასაბუთებულობის პრობლემას ადასტურებს ის ფაქტიც რომ, ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც ბრალდებულს უცხო ქვეყნის მოქალაქე წარმოადგენდა და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე მას, სურვილის შემთხვევაში, შეეძლო საზღვრის გადაკვეთა, პროკურორის მიერ არ მოხდა მიმავლის საფრთხის განხილვა.

ერთი მხრივ, პრობლემურია პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების თაობაზე შუამდგომლობების დასაბუთების უზრუნველყოფა. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ხშირად, სასამართლო საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე იყენებს ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიებას, პროკურორებისთვის შესაძლოა, ერთგვარ წამახალისებელ გარემოებასაც წარმოადგენდეს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე სწორედ პატიმრობა მოითხოვონ.

მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს **პროკურორთა პასიურობა მოწმეთა დაკითხვის დროს.** დამონიტორინგებულ საქმეებში პროკურორები სათანადო ყურადღებას არ ამახვილებენ დაცვის მხარის მიერ სასურველი პასუხის მიღების მიზნით ბრალდების მხარის მოწმისთვის ერთი და იგივე კითხვის რამდენჯერმე დასმის შემთხვევებზე. ასევე, ხშირად არ რეაგირებენ მოწმის მიმართ დაცვის მხარისა და თავად ბრალდებულის მხრიდან შეურაცხმყოფელ შეძახილებზე და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი მოწმის სათანადოდ დაცვას მეორეული

ვიქტიმიზაციისგან. სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში განხილულ საქმეთა 33%-ში პროკურორი პასიურობდა მოწმეთა დაკითხვის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარის მიერ რიგ შემთხვევებში არ ხდება დაცვის მხარის ისეთი კითხვების გაპროტესტება, რომლებიც ეხება არა მოწმის მიერ ფაქტობრივი გარემოებების ცოდნასა და გადმოცემას, არამედ მათ მიერ ფაქტის სუბიექტურ შეფასებას ემსახურება. ერთ შემთხვევაში თავად პროკურორისგანაც ბრალდებულის მიმართ გაიჟღერა ფრაზამ: „მე პროკურორი რომ ვარ, იმიტომ ზიხართ იქ თქვენ“. ერთ შემთხვევაში კი, ბრალდების მხარის პასიურობის გათვალისწინებით, მოსამართლემ თავად ჰკითხა პროკურორს, ხომ არ სურდა პროტესტის დაყენება მოწმისადმი დაცვის მხარის კითხვასთან დაკავშირებით.

იხილეთ მაგალითები:

პიხს ბიაღად ედებოდა ყოფიღი მეუღღის მიმართ სისტემატური შეუხაცხყოფა ხაც, დაზახაღებუღის აღნიშვნით, მისი მეოხე ქოხწინებით იყო გამოწვეუღი. სასამართღო პოცესზე დაზახაღებუღს ინტენსიუხად შეუხაცხმყოფეღად მიმართავდნენ ადვოკატები. ასევე, ბიაღდებუღი მუდმივად ხაზს უსვამდა მის მსუბუქ ყოფაქცევას, იმეოხებდა, ხომ დაზახაღებუღი მატყუახა და საშინეღი დედა იყო. ადვოკატმა დაზახაღებუღის მისამართით ტეიმინი „უიჩხუღიც“ გამოიყენა. პოკუიოხს აიც ეოთ შემთხვევაში პოტესტი აი გამოუთქვამს.

პიხს ბიაღად ედებოდა პაიტნიოხის მიმართ ძაღადობა. კეიძოდ, ბიაღდებუღმა დაზახაღებუღის მობიღუხის ეკიანზე დაინახა სექსუაღური შინაასის მოკღეტექსტური შეტყობინება, ხამაც მისი გაღიზიანება გამოიწვია. შეტყობინების მისთვის ჩვენებაზე დაზახაღებუღის მიეი უაის თქმის შემდეგ, ბიაღდებუღმა გინება დაუწყო დაზახაღებუღს, ხოდო მას შემდეგ ხაც დაზახაღებუღმაც მიაყენა სიტყვიეი შეუხაცხყოფა, ბიაღდებუღმა მას შეაფუთხა და სახეში ძღიეიად გაიტყა ხეღი.

ბიაღდებუღს აი ჰყავდა ადვოკატი და ხშიხად აიღვევდა საპოცესო მოქმედების წესებს, დაკითხვას იყენებდა საკუთაი პოზიციის დასაფიქსიხებეად და შეფასებების გასაკეთებეად. პოკუიოხის პასიუობის გამო, მუდმივად მოსამართღეს უწევდა, მისთვის სიტყვა საკუთაი ინიციატივით შეეწყვეტინებინა. ბიაღდებუღი ასევე გამოიხჩოდა დამცინავი ტონით, მუდმივად უთითებდა დაზახაღებუღის ცხოვიების წესზე და უმეოხებდა მას, ხომ მამისთვის აიასასუხვეღი შვიღი იყო, ხაზეც პოკუიოხი ყუიადღებას აი ამახვიღებდა.

უნდა აღინიშნოს ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში **დაზარალებულთან ბრალდების მხარის კომუნიკაციის სისუსტეც.** ბრალდების მხარის ყოვლისმომცველი და ქმედითი კომუნიკაციის ნაკლებობა შეიძლება იყოს არსებითი განხილვის ეტაპზე დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ისევე, როგორც დაცვის მხარის მიერ პროცესზე წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტებისა იმის თაობაზე, რომ დაზარალებულს არ გააჩნია რაიმე სახის პრეტენზია ბრალდებულის მიმართ, პატიობს ჩადენილ დანაშაულს და ზოგ შემთხვევაში, იმავე წერილითვე ითხოვს ბრალდებულის გათავისუფლებას. აღნიშნული

პრობლემა განსაკუთრებულად იკვეთება ოჯახური დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც, დანაშაულის ფარული ხასიათის გამო, მეტწილად სწორედ დაზარალებულის ჩვენებაზეა აგებული. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის მსგავსი ქმედება შესაძლოა მასზე ზეწოლით იყოს გამოწვეული, ბრალდების მხარე აღნიშნულზე მაინც ნაკლებად რეაგირებს.

იხილეთ მაგალითები:

პირს ბიაღად ედებოდა დედის შეუხაცხყოფისა და მასზე ფსიქოღოგიური ძაღადობის გამო გამოცემული შემაკავებელი ორდერის დარღვევა. ბიაღდებული ორდერის გამოცემის დღესვე მივიდა სახლში, სა დროსაც დედასთან კვლავ მოუვიდა შეღაპარაკება და დაზარალებულმა ეს ფაქტი პოღიციას შეატყობინა.

სასამართლო სხდომაზე აშკარად გამოიკვეთა, რომ პროკურორს კონსულტაცია არ ჰქონდა გავლილი დაზარალებულთან, სამდენადაც მისი დაკითხვის მომენტამდე არ იცოდა დაზარალებულის პოზიცია, კერძოდ, აპირებდა თუ არა იგი ჩვენების მიცემას ან სისი თქმა სურდა ჩვენებაში. აღნიშნულს ადასტურებდა დაზარალებულის დაბნეულობაც. პროკურორს ასევე არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიაღდებული და დაზარალებული იმ დროისთვის ერთად ცხოვრობდნენ.

პირს ბიაღად ედებოდა პარტნიორის მიმართ სიტყვიერი შეუხაცხყოფა და ფიზიკური ძაღადობა დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით. სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ დაზარალებულმა სასამართლოსა და პროკურატურას მიმართა ბიაღდებულის მიმართ საქმის შეწყვეტის თაობაზე. პროკურორი აღნიშნულთან მიმართებით პასიურობდა და არ უმსჯელია დაზარალებულის მიერ პოზიციის შეცვლის შესაძლო მიზეზებზე. საბოლოოდ, სასამართლომ ბიაღებული გაამართლა და უდანაშაულოდ ცნო.

რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანია:

1. ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, პროკურატურამ იმოქმედოს დანაშაულის სპეციფიკური ხასიათისა და გენდერული ხედვის გათვალისწინებით;

2. პრაქტიკაში მეტი გამოყენება მიეცეს 53[1] მუხლს და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით, გენდერული დისკრიმინაციის ან სხვა სახის შეუწყნარებლობის/სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მიმანიშნებელი გარემოებების არსებობისას, ბრალდების მხარის მიერ ყურადღება გამახვილდეს დისკრიმინაციულ მოტივზე;

3. საქართველოს პროკურატურამ მუდმივად უზრუნველყოს პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლება და განაგრძოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულების მიმართულებით პროკურორთა სპეციალიზაცია მათი საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფისა და, შესაბამისად, სპეციალიზებულ პროკურორთა გადატვირთულობის აღმოფხვრის მიზნით;

4. საქართველოს პროკურატურამ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად უზრუნველყოს სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთულობის სრულყოფილი მონიტორინგის სისტემის შექმნა;

5. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული პროკურორები მხოლოდ იმ კატეგორიის დანაშაულებზე მუშაობდნენ, რომელთა მიმართულებითაც არიან გადამზადებული;

6. ბრალდების მხარემ უზრუნველყოს როგორც ბრალად წარდგენილი მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის, ისე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების/ძალაში დატოვების თაობაზე შუამდგომლობის სრულყოფილად დასაბუთება არა შაბლონურ საფუძვლებზე, არამედ დამაჯერებელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით;

7. ბრალდების მხარეს უფრო მყარი და ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდეს დაზარალებულთან;

8. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ოჯახური დანაშაულის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სიმძაფრისა და საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ დოკუმენტებში ამ კატეგორიის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად[21] გამოყოფის ფონზე მნიშვნელოვანია, დისკრიმინაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს სახელმძღვანელო წესების სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა.

---

[21] საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია.